

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესარჩევი კონკურსი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა

საკონკურსო კომისიის

სხდომის ოქმი N2

ქ. ბათუმი

11.02. 2020 წელი

საკონკურსო კომისიის წევრები

1. ირინა ბეჟანიძე -ბსუ-ს პროფესორი;
2. ნანა ზარნაძე -ბსუ-ს ასოც. პროფესორი;
3. ციცინო სარაჯიშვილი -ბსუ-ს ასოც. პროფესორი;
4. დავით ნიშნიანიძე- ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
5. გურამ გვარიშვილი - ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი.

დღის წესრიგი:

ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 27 დეკემბრის №02-01/215 ბრძანებით გამოცხადებული ბსუ-ში 2020 წელს განსახორციელებელი მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესარჩევ კონკურსში საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მიმართულებით წარმოდგენილი პროექტის განხილვა და გამარჯვებულის გამოვლენა

მოისმინეს: 1. კომისიის თავმჯდომარის ირინა ბეჟანიძის ინფორმაცია, რომელმაც აღნიშნა რომ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მიმართულებით შემოვიდა 5

საგრანტო პროექტი, მათ შორის ერთი ახალგაზრდული. განხილვიდან მოიხსნა 1.ზაურ გამიშიძის პროექტი „ნანონაწილაკები სასმელ წყლებში“, ვინაიდან პროექტის მონაწილეთა ანაზღაურება შეადგენს 61.47%, რაც აღემატება დებულებით დადგენილ ნორმებს (40%).

2. რუსლან დავითაძის ახალგაზრდული პროექტი „დაბალკალორიული და ბიოლოგიურად აქტიური პროდუქტების წარმოება სუპერკრიტიკული წნევის ფლუიდური ექსტრაქციის (SFE) გამოყენებით“, იმის გამო, რომ პროექტში არ არის მითითებული ახალგაზრდა მკვლევარის კონსულტანტი.

განიხილებოდა სამი პეოექტი.

1. „ნანოსტრუქტურების ელექტრული და ოპტიკური თვისებების გამოკვლევა ეფექტური გარემოს მეთოდების გამოყენებით“.

ძირითადი პერსონალი - ომარ ნაკაშიძე, ფიზიკის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, პროექტის ხელმძღვანელი, ლალი კალანდაძე - ფიზიკის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.

დამხმარე პერსონალი : იზოლდა ჯაბნიძე - ფიზიკის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი; შოთა ქარცივაძე - კომპიუტერულ მეცნიერებათა სპეციალობის III სასწავლო წლის სტუდენტი .

პროექტის ბიუჯეტი შეადგენს 20000 ლარს. აქედან 5000 ლარი - მონაწილეთა შრომის ანაზღაურება, 1300-მივლინება, ძირითადი აქტივები-13700.

2. „აქარაში გავრცელებული მრავალწლოვანი მერქნიანი მცენარეების ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების შესწავლა და მათგან ეკოლოგიური პროდუქტების მიღების ეფექტური ქიმიური ტექნოლოგიის შემუშავება“.

ძირითადი პერსონალი - ასოცირებული პროფესორი მაია ვანიძე;

დამხმარე პერსონალი : დოქტორანტები ნონა სურმანიძე, ჯეირან ფუტკარაძე, მერი ხახუტაიშვილი.

პროექტის ბიუჯეტი-20000 ლარი. მათ შორის ხელფასი-6215 ლარი, საქონელი და მომსახურება- 4785 ლარი, ძირითადი აქტივები-9000 ლარი.

3. „საინფორმაციო სისტემების მრავალდონიანი მართვა QR კოდების მეშვეობით მულტიპლატფორმული სისტემებისათვის.“

ძირითადი პერსონალი : ზაზა დავითაძე - ხელმძღვანელი, ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი; გრიგოლ კახიანი - დეველოპერი, ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი; დამხმარე პერსონალი: ზურაბ მესხიძე - პროგრამისტი, ბსუ-ს მოწვეული მასწავლებელი; კობა ლოლობერიძე - პროგრამისტის ასისტენტი, ბსუ-ს სტუდენტი. პროექტის ბიუჯეტი შეადგენს: 19900 ლარს; საბიუჯეტო თანხები განაწილებულია შემდეგნაირად: სახელფასო ფონდი-7900 ლარი, სამივლინებო-6000 ლარი, საქონელი და მომსახურება-1000 ლარი , ძირითადი აქტივები-5000 ლარი.

აზრი გამოთქვას ზემოთ აღნიშნული პროექტების კომისიის წევრებმა, რომლებმაც ისაუბრეს პროექტებით ასახული პრობლემების აქტუალობაზე.

კომისიის წევრის ნანა ზარნაძის განმარტებით, პროექტი - „ ნანოსტრუქტურების ელექტრული და ოპტიკური თვისებების გამოკვლევა ეფექტური გარემოს მეთოდების გამოყენებით“ საინტერესოა. ნანოსტრუქტურებზე მუშაობა ძალიან რთულია, თუმცა ეჭვს იწვევს ამ პროექტის შესრულება არსებული აპარატურით.

კომისიის წევრის დავით ნიშნიანიძის აზრით, პროექტის გეგმა -გრაფიქში არ არის შეყვანილი შემსრულებელი შოთა ქარცივაძე, გაუგებარია, რამდენად მიიღწევა პროექტის შედეგი გარდატეხვის და შთანთქმის მახასიათებლების გაზომვით.

კომისიის წევრის ირინა ბეჟანიძის განმარტებით, პროექტი „აჭარაში გავრცელებული მრავალწლოვანი მერქნიანი მცენარეების ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების შესწავლა და მათგან ეკოლოგიური პროდუქტების მიღების ეფექტური ქიმიური ტექნოლოგიის შემუშავება“ მნიშვნელოვანია აჭარის რეგიონისათვის, მაგრამ შეიცავს ძალიან დიდი მოცულობის ექსპერიმენტულ სამუშაოებს, რომლებიც შეუძლებელია ჩატარდეს 10 თვის განმავლობაში.

დავით ნიშნიანიძის აღნიშნა, რომ პროექტის ბუჯეტსა და გეგმა-გრაფიქს შორის არის განსხვავება.

ციცინო სარაჯიშვილის აზრით, პროექტი თავისი შინაარსით არის პრობლემური, პროექტში მოყვანილი პროდუქტების გამოსავლიანობის გაზრდა სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხია, არსებობს შესაბამისი სახელმწიფო პროექტები და მიმაჩნია თავისი მასშტაბით პროექტი სცილდება შიდასაუნივერსიტეტო გრანტის ფარგლებს და სასურველია გატანილი იქნას შესაბამის დონეზე.

კომისიის თავმჯდომარემ, გამარჯვებული პროექტის გამოვლენის მიზნით ღია კენჭისყრაზე დააყენა თითოეული პროექტი ცალ-ცალკე. კენჭისყრის საფუძველზე საკონკურსო კომისიის წევრებმა

დაადგინეს:

1. წარმოდგენილი მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი შეფასდეს შემდეგი ქულებით:

1.1 „ ნანოსტრუქტურების ელექტრული და ოპტიკური თვისებების გამოკვლევა ეფექტური გარემოს მეთოდების გამოყენებით“-90ქულა;

1.2 „აჭარაში გავრცელებული მრავალწლოვანი მერქნიანი მცენარეების ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების შესწავლა და მათგან ეკოლოგიური პროდუქტების მიღების ეფექტური ქიმიური ტექნოლოგიის შემუშავება“-87ქულა;

1.3 „საინფორმაციო სისტემების მრავალდონიანი მართვა QR კოდების მეშვეობით მულტიპლატფორმული სისტემებისათვის.“ - 95ქულა

2. პროექტებიდან გამარჯვებულად გამოვლინდეს პროექტი:


„საინფორმაციო სისტემების მრავალდონიანი მართვა QR კოდების მეშვეობით მულტიპლატფორმული სისტემებისათვის.“-95 ქულა

აღნიშნული საკითხი დასამტკიცებლად გადაეცეს ბსუ-ს აკადემიურ საბჭოს.

3. შედეგები დაეზავნოს შესაბამის სამსახურებს და გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე:  /ი. ბეჟანიძე/

მდივანი:



/ც.სარაჯიშვილი/